



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ო №1

ქალაქი ბათუმი

2020 წლის 30 იანვარი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თეზიძე

მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- | | |
|----------------------|---|
| თამაზ სალუქვაძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| გოჩა მგელაძე | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ირაკლი პატარიძე | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| თემურ კახიძე | - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნერიმან ცინცაძე | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნატალია ძიძიგური | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე; |

- რაულ თავართქილაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
- არჩილ მამულაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ანზორ დევაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე;
- დავით მახარაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ელგუჯა ანდრიაძე - საკრებულოს წევრი;
- თამაზ დევაძე - საკრებულოს წევრი;
- მუხამედ ართმელაძე - საკრებულოს წევრი;
- გელა დეკანაძე - საკრებულოს წევრი.

არ ესწრებოდნენ:

- ლაშა სირაბიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
- დimitრი ჭეიშვილი - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
- ნატალია ზოიძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;
- ირაკლი თოფურაძე - საკრებულოს წევრი;
- ომარ მახარაძე - საკრებულოს წევრი;
- ლევან ანთაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეთერ ლომაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - რამაზ მამულაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭავაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით კოპინაძე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - გურანდა აბულაძე.
- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას, წარმატებული დღე უსურვა და აღნიშნა, რომ საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია თოთხმეტი სამართლებრივი აქტის პროექტი.

ასევე აღნიშნა დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე. დღის წესრიგის გარშემო წინადადებები არ წარმოდგენილა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

საკითხი 1. „ზურაბ გორგილაძის ბიუსტის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი ეთერ ლომაძე)

საკითხი 4. „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი ეთერ ლომაძე)

საკითხი 5. „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის N73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე ტექნიკური დავალების მოწონების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ და „საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა“ ფარგლებში პროექტების დაფინანსებისა და ანგარიშგების პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე)

საკითხი 8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი რამაზ მამულაძე)

საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი რამაზ მამულაძე)

საკითხი 10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი რამაზ მამულაძე)

საკითხი 11. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის წესისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის ტრანსპორტირებისა და შენახვის საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 02 ნოემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი რამაზ მამულაძე)

საკითხი 12. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის
სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი რამაზ მამულაძე)

საკითხი 13. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების თვლებზე სპეციალური საშუალებებით ბლოკირების გაკეთების წესისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების თვლებიდან სპეციალური საშუალებებით ბლოკირების მოხსნის საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 12 მარტის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის
სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი რამაზ მამულაძე)

საკითხი 14. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის
სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი რამაზ მამულაძე)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 19

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრი - არჩილ მამულაძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა რამდენიმე საკითხის თაობაზე, კერძოდ:

- აეროპორტის დასახლების მცხოვრები 35 მოქალაქის ხელმოწერით წარმოდგენილი განცხადების შესახებ გადატვირთული მოძრაობის შეაზღუდვის მიზნით ე.წ. „გადასასვლელი ზებრის“ მოწყობის თაობაზე;

- თამარის დასახლებაში ავტობუსების გადატვირთული (4 მიმართულებით) მოძრაობის, დასახლების ცენტრში არსებული უსახური მოსაცდელის, ქუჩაში ამორტიზირებული, საფრთხისშემცველი ქვაფენილებისა და აღნიშნულთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კომპეტენტურ სამსახურებზე არაერთხელ მიმართვისა და მათი მხრიდან გულგრილობის თაობაზე.

აღნიშნა სამომავლოდ ორი ინიციატივის წარმოდგენის თაობაზე, კერძოდ:

- მემედ აბაშიძის გამზირის იმ მონაკვეთის, რომელიც აკავშირებს ერას მოედანსა და პარკს, ქვეითად მოსიარილეებისათვის თავისუფალ სავალ ნაწილად გამოცხადების თაობაზე.

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედ რეგლამენტში, რამდენიმე მუხლისა და პუნქტის დაზუსტების მიზნით, ცვლილების შეტანის თაობაზე.

ასევე აღნიშნა დილით საინფორმაციოში გადმოცემული სასიამოვნო და მისაბამი ინფორმაციის შესახებ, ქუთაისის სამხედრო ლიცეუმში 63 კადეტი გოგონას ჩარიცხვის თაობაზე, რაც სამომავლოდ საუკეთესო მონაპოვარია სამხედრო დანიშნულების სტრატეგიისათვის.

საკრებულოს წევრმა - მუხამედ ართმელაძემ მხარი დაუჭირა არჩილ მამულაძის განცხადებას აეროპორტის დასახლებასთან დაკავშირებით და აღნიშნა 25 უბედური შემთვევის, არაერთხელ მოსახლეობასთან და კომისიურად საპატრულო პოლიციასთან შეხვედრის თაობაზე. მიზანშეწონილია გზის რეკონსტრუქცია და გადასავალის გაკეთება, მაგრამ გზის მონაკვეთი მთლიანად ქალაქს არ ეკუთვნის, ნაწილი საგზაო დეპარტამენტის დაქვემდებარებაშია, რის გამოც ქალაქი ვერ ღებულობს შესაბამის გადაწყვეტილებას და მოუწოდა საკრებულოს შუამავლის როლის შესრულებისაკენ.

ასევე მადლობა გადაუხადა ახლად დაარსებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ბათუმის მუნიციპალურ ინსპექციის თანამშრომლებს, რომელთა ძალისხმევით მრავალი სამშენებლო ობიექტის მიერ დაცული იქნა უსაფრთხოების წესები. ასევე მისი მხრიდან იყო თხოვნა ინსპექციის მიერ სამშენებლო ოქბიექტების დარღვევების შესახებ აღნუსხვის გაკეთებისა და საკრებულოს წევრებისთვის წვდომის დაშვების თაობაზე, რაც ხელს შეუწყობდა მოსახლეობაში არსებული ზემოაღნიშნული პრობლემების შესახებ საკრებულოს წევრების ინფორმირებულობას.

საკრებულოს წევრი - რაულ თავართქილაძე მიესალმა კოლეგებს, დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა ქალაქ ბათუმში, ჯავახიშვილი-ნინოშვილი-ბაგრატიონის ქუჩებზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების არსებულთან შედარებით უხარისხოდ მიმდინარეობის შესახებ. მოუწოდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს - ბათუმის მუნიციპალურ ინსპექციას, სათანადო ღონისძიებების გატარებისაკენ. ასევე ითხოვა ყურადღების და სათანადო კონტროლის დაწესება ქუჩის მაწანწალა ძაღლებთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრი - მირდატ ქამადაძე მიესალმა კოლეგებს და აღნიშნა ტელევიზიით გაშუქებული სიუჟეტის შესახებ, სადაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი არაკომპეტენტურად თვლის მთავრობის თავმჯდომარესთან შეუთანხმებლად რიგი საკითხების გადაწყვეტას, რაც საკრებულოს წევრს - მირდატ ქამადაძეს არამართებულად მიაჩნია და მოითხოვა უახლოეს ხანში რიგგარეშე სხდომის მოწვევა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტების გაკეთების მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგება მისი პასუხისმგებლობის და იმპიჩმენტის საკითხი.

ასევე აღნიშნა, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ რჩება ბოიკოტის მდგომარეობაში, ტოვებს საკრებულოს სხდომას, თუმცა მიესალმებიან დღის წესრიგის პირველი საკითხით განსაზღვრულ - ზურაბ გორგილაძის ბიუსტის გახსნას

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრებმა (მირდატ ქამადაძე, ნოდარ დუმბაძე, გელა დეკანაძე) და ჟურნალისტებმა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა დატოვეს.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განმარტა, რომ აჭარის რეგიონის მთავრობის თავმჯდომარესთან - ბატონ თორნიკე რიჟვაძესთან საკითხების გავლა ლეგიტიმურია. მედიაში გავრცელებულ ჩანაწერში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - ბატონი ლაშა კომახიძე მიწის ნაკვეთის მონაცვლეობაზე საუბრობდა, ამ დროს კი აუცილებელია მთავრობის თავმჯდომარესთან კონსულტაცია და საერთოდ ავტონომიურ რესპუბლიკას იმიტომ ჰყავს მთავრობა და თავმჯდომარე, რომ მოხდეს გარკვეული საკითხების შეთანხმება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. „ზურაბ გორგილადის ბიუსტის განთავსების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ბათუმში, ლუკა ასათიანისა და ზურაბ გორგილადის ქუჩების კვეთაში არსებულ სკვერში პოეტის, ზურაბ გორგილადის ბიუსტის დადგმა.

ზურაბ გორგილადის სახელის უკვდავსაყოფად ბათუმში, ბიუსტის განთავსების ინიციატივა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარეს ბატონ დავით თედორაძეს და შპს „ბათმშენი-2007“ დირექტორს ბატონ გოჩა ირემაძეს ეკუთვნის, პროექტთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსაც შპს „ბათმშენი-2007“ დაფარავს.

მომხსენებელმა ასევე გააკეთა განცხადება უახლოეს მომავალში ფრიდონ ხალვაშის ბიუსტის დადგმის თაობაზე

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრი - რაულ თავართქილაძე მიესალმება ასეთი სახელოვანი პოეტის ზურაბ გორგილადის სახელის უკვდავსაყოფად ბათუმში ბიუსტის განთავსებას, ასევე მხარს უჭერს ფრიდონ ხალვაშთან დაკავშირებით მომხსენებლის მიერ დაანონსებულ თემას.

საკრებულოს წევრმა - მუხამედ ართმელაძემ უღრმესი მადლობა გადაუხადა ბიზნესმენებისთვის სანიმუშო და მისათითებელ პიროვნებას ბატონ გოჩა ირემაძეს, ვის მიერაც რამდენიმე წლის უკან ზურაბ გორგილადის სახლში მოწყობილ იქნა მუზეუმი და აღნიშნა, რომ ბიზნესმენი ქალაქში არამარტო ბიზნეს უნდა აკეთებდეს, არამედ ქალაქისთვის კარგი საქმეებიც უნდა კეთდებოდეს.

საკრებულოს წევრმა - არჩილ მამულაძემ წინადადებით მიმართა მომხსენებელს ასეთი თემის გაგრძელებისათვის ღვაწლმოსილი პოეტების, მწერლების ჯემალ ქათამაძე, მამია ვარშანიძე და სხვა ღირსეული ადამიანების უკვდავ-ყოფის მიზნით.

საკრებულოს წევრმა - ბესარიონ გოგოტიშვილმა აღნიშნა ვარდების სკვერის ცენტრში, სადაც სარეკლამო რგოლია, ზურაბ გორგილამის ბიუსტის განთავსებაზე, რაზედაც მომხსენებელმა განუმარტა რომ სარეკლამო ანბის დემონტაჟი მოხდება და განთავსდება ბიუსტი.

მომხსენებელმა - ირაკლი პატარიძემ გულისტკვილი გამოხატა ტელევიზიისა და ჟურნალისტების ქმედების თაობაზე, რომლებმაც არ მოახდინეს ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტის გაშუქება და აღნიშნა, რომ სამომავლოდ გაითვალისწინონ.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 16

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე 101 მანდატურისათვის მუნიციპალური ავტობუსებით მგზავრობის შეღავათის - 0,15 ლარის დაწესება.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ დამატებით განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე მანდატურების მგზარობის შეღავათი იგივე იქნებოდა, რაც პედაგოგებისა და დამხმარე პერსონალისთვის.

აღნიშნულ განმარტებას დაეთანხმა მომხსენებელი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 16

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი ეთერ ლომაძე)

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილ პროექტში არ არის შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებები, მხოლოდ ფორმულირებაა შეცვლილი და დაზუსტებული მუნიციპალიტეტის კომპეტენციიდან გამომდინარე და აღნიშნა ერთჯერადი ღონისძიებების სახით თავდაპირველად შეტანილი ღონისძიებების ზოგადი ფორმულირებით ჩამოყალიბებისა და რისკების მართვის მიმართულებით დებულებაში განსაზღვრული ზოგადი მიმართულებების დაზუსტების თაობაზე. კერძოდ, პირვანდელ სახეში რისკების მართვის ზოგადად მოცემულობისა და ამჯერად რისკების მართვის მიმართულებით მუნიციპალიტეტის მუნიციპალური პროგრამების განისაზღვრისა და დაზუსტების შესახებ

ასევე აღნიშნა საკითხის სიახლის, რისკების მართვის კუთხით ჯერ-ჯერობით არცერთ მუნიციპალიტეტში არანაირი აქტივობების არ არსებობის, „კარგი მმართველობის ინიციატივასთან“ და USAID-თან ერთად რისკების მართვის მიმართულებით, კონცეფციის საფუძველზე ორიენტირების მოხდენის თაობაზე.

აზრი

გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა - მუხამედ ართმელაძემ აღნიშნა რისკების მართვის მონიტორინგის გატარების, ინდიკატორების შემუშავების, ამ პროგრამების ადგილზე შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნული მერის ბრძანებით დამტკიცდება და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის კომპეტენცია იქნება. ყველა სამსახურის კომპეტენციაში შევა ასევე რისკების მართვა და ეყოლება პასუხისმგებელი პირი ინფორმაციის მოწოდებაზე. ყველა სამსახური თვითონ განსაზღვრავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესული პროგრამების რისკებს, დახმარება გაეწევათ დაძლევის ღონისძიებების განსაზღვრაში და შემდეგ გაეწევათ მონიტორინგი, თუ როგორ მუშაობს ეს მეთოდოლოგია და რამდენად მათ მიერ განსაზღვრული დაძლევის ღონისძიებები არის რელევანტური და ეფექტური მონიტორინგის საფუძველზე გამოვლინდება.

საკრებულოს წევრმა - ნატალია ძიძიგურმა აღნიშნა რიეკების მართვის სტრატეგიის გეგმის შემუშავების და რისკების მართვის კუთხით მიდგომის ყველა სამსახურისთვის ქონის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განუმარტა, რომ კონსულტაციები გავლილია ყველა სამსახურთან, ეს პოლიტიკის დოკუმენტი არის ერთიანი სახელმძღვანელო, რომლითაც ყველა სამსახური იხელმძღვანელებს: თუ როგორ უნდა შეფასდეს რისკი, რის საფუძველზე. ეს მეთოდოლოგია ყველასთვის ერთნაირი იქნება და საპილოტედ რამდენიმე პროგრამა იქნება აღებული და შემდეგ დაზუსტდება იმის საფუძველზე, თუ როგორ იმუშავებს პრაქტიკაში, რადგან გამოცდილება ჯერ-ჯერობით არცერთ მუნიციპალიტეტში არ არის.

საკრებულოს წევრმა - ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა ყველა სამსახურებიდან ჩართული პასუხისმგებელი პირებისათვის ტრენინგების ჩატარების დაგეგმვის არსებობის თაობაზე რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ მეთოდოლოგია როცა მომზადდა კარგი მმართველობის ინიციატივასთან ერთად, რომელიც დაფინანსებულია USAID-ის მიერ ზუსტად ამ მეთოდოლოგიის მომზადების შემდეგ ჩაისვა ტრენინგები მეთოდოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებით და გადამზადდა ყველა სამსახურის შესაბამისი წარმომადგენელი, რომლებთანაც შემდგომშიც ითანამშრომლებენ, ხოლო HR-ის სამსახურთან ექმნებათ ყოველთვის კომუნიკაცია, რომ

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 15

არ ესწრებოდა: - 1 (ირაკლი პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 4. „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი ეთერ ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს დაზუსტებებს გამომდინარე იქედან რომ არის მოლოდინი კონკრეტული ბინების ღირებულებების განსაზღვრისა და დადგენის. აქედან გამომდინარე დაზუსტდა უკვე კონკრეტული პუნქტები. კერძოდ, დაზუსტდა შემოსავლის მინიმალური ზღვარი - ეს უნდა იყოს სამმაგი ოდენობა იმ გადასახდელისა, რომელსაც აპლიკანტი ოჯახი ყოველთვიურად ქირის სახით გადაიხდის. ასევე დაზუსტდა, თუ ვინ ვერ მიიღებს მონაწილეობას. ეს არის ოჯახი, რომელიც არ უნდა მიეკუთვნებოდეს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ იმ ოჯახს, რომლისთვისაც მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია სახელმწიფოს მიერ საარსებო შემწეობის გაცემა. ანუ ასეთი ოჯახი, რომელიც საარსებო შემწეობის მიმღებია ვერ ჩაერთვება პროგრამაში გამომდინარე იქედან, რომ მისი შემოსავალი სახელმწიფოს მიერ გაცემული შემწეობაა და შემწეობის გამორთმევა დაუშვებელია. გარდა ამისა დაზუსტდა, თუ რა იგულისხმება ხელფასში - კონკრეტული

კრიტიკრიუმებისათვის ეს არის ხელზე ასაღები ხელფასი, ანუ ყველა გადასახადის გადახდის შემდეგ დარჩენილი ხელფასის ოდენობა დაითვლება შემოსავალში. ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ იმ შემთხვევაში თუ კი ეს პროგრამა გაგრძელდება და აშენდება ახალი სახლები ამ პროგრამის ფარგლებში ის რეიტინგი, რომელიც შედგება მოკვლევის საფუძველზე პირველადად და ის ოჯახები, რომლებიც მოხდება ამ სარეიტინგო სიაში, შემდეგ ხელახლა გადაისინჯება პროგრამის გაგრძელების შემთხვევაში და თუ ისინი მიიღებენ შესაბამის რეიტინგს დაკმაყოფილებიან რეიტინგის საფუძველზე, ანუ მოხდება ამ სიის ხელახალი გადასინჯვა პროგრამის გაგრძელების შემთხვევაში.

აზრი

გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა - თამაზ სალუქვაძემ დასვა შეკითხვა ოფიციალური განცხადებების მიღების დაწყების თარიღის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა: მას შემდეგ რაც საკრებულო იმსჯელებს წარმოდგენილ პროექტზე, ასევე ქონების სამსახური წარმოდგენს გარკვეულ საკითხებს, მომზადებულია მერის ბრძანების პროექტი პროცედურების შესახებ და ამ ბრძანების დამტკიცების შემდგომ დაიწყება განცხადებების მიღება.

საკრებულოს წევრმა - არჩილ მამულაძემ აღნიშნა მომხსენებლის მიერ ჩამოყალიბებული საუკეთესო კონცეფციის შესახებ. ასევე დასვა შეკითხვა მოსახლეობის ინფორმირების მექანიზმისა და აპლიკანტზე შესაბამისი რეიტინგის დამტკიცების შემდეგ შემოსავლის შემცირების შემთხვევაში წარმოქმნილ რისკებზე გასატარებელი ღონისძიებებით აპლიკანტის მდგომარეობის გაუარესების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა: რომ მთავარია გადაიხადოს მინიმალური გადასახადი, მაგრამ ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში გადახდილი თანხა ქირაში ჩაეთვლება და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დატოვებს საცხოვრებელს. ყოველი ზემოაღნიშნულის ინფორმირებას მოქალაქეებს გაუწევენ სერვისცენტრები და მერიის შესაბამისი სამსახურები. ასევე ინფორმაცია განთავსებულია მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.Batumi.ge).

საკრებულოს წევრმა - ნატალია ძიძიგურმა ისაუბრა საცხოვრისების მაღალი დონის საცხოვრებელი პირობების შესახებ და დასვა შეკითხვა საკონკურსო კომისიის ჩამოყალიბების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა კომისიის შექმნის მიზნით შემუშავებული ბრძანების პროექტის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ აღნიშნა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების დამტკიცებამდე კომისიის შემადგენლობაში საკრებულოს წევრების კანდიდატურების წარდგენის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა - მუხამედ ართმელაძემ აღნიშნა პროგრამაში რისკების არსებობის თაობაზე, რაც სამომავლოდ აღმოსაფხვრელია.

საკრებულოს წევრმა - რაულ თავართქილაძემ - აღნიშნა პროექტის მნიშვნელობაზე, რაც იმედია და საწინდარია ბევრი ოჯახისთვის საკუთარი ფუძისა და ჭერის არსებობისა.

საკრებულოს წევრმა - თემურ კახიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის გაგრძელება მისასალმებელია, რაც კარგი სტიმულია ოჯახებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ აღნიშნა პროგრამის გაგრძელებისა და თებერვალში კონკურსის გამოცხადების თაობაზე.

საკრებულოს წევრის - თამაზ დევადის აზრით პროგრამის უმთავრესი ხედვაა - მოსახლეობის გარკვეული ფენის მომავალი ცხოვრებისათვის პერსპექტივის გაჩენა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 15

არ ესწრებოდა: - 1 (ანზორ დევადე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 5. „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის N73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტით განსაზღვრულია იაფი სახლის 1 კვ.მეტრის თვითღირებულება 1083 ლარის ოდენობით, აღნიშნული თანხა შეადგინა მშენებლობის ღირებულებამ და მიწის ნორმატიულმა ფასმა, რაც წარმოდგენილი პროექტის დანართში ასახულია დეტალურად.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა - ნატალია ძიძიგურმა დასვა შეკითხვა ფასის თვითღირებულებით მინიჭების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ თვითღირებულებით გამოთვლილია ის რაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაუჯდა აღნიშნული 2 სახლის მშენებლობა და ასევე დათვლილი არის მიწის ნორმატიული ფასიდან გამომდინარე, ხოლო ის რაც მატებაა ფასში არ არის დამატებული.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განმარტა აღნიშნულის კომისიის სხდომებზე გაცნობისა და სუფთა მათემატიკურ სტატისტიკაზე დაყრდნობით ფასების გათვლის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის შემუშავების თაობაზე ტექნიკური დავალების მოწონების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით განვითარების და განაშენიანების მართვის დოკუმენტაციის შემუშავებისთვის ტექნიკურ დავალებას წარმოგიდგენის თაობაზე, რომელიც შეიცვალა საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის ამოქმედების შედეგად. რადგან შეიცვალა გეგმების დამტკიცების წესი, შემადგენლობა, სტრუქტურა და სხვა, ამიტომ ტექნიკური დავალებაც გადაკეთდა კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

ასევე აღნიშნა თებერვალში დაგეგმილი კონკურსის გზით შესასყიდი დოკუმენტაციის თაობაზე, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა;
- ბათუმის გენერალური გეგმა;
- დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა.
- ტექნიკური დავალებით შუალედური დოკუმენტაციის მიღება, რომელის ეხება კვლევებს ძირითადად და დოკუმენტაციას.

საკონკურსო შესყიდვის ღირებულებაა - 2,5 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი. ვადა - 9 თვიანი შესყიდვა (მიღება-ჩაბარების პერიოდი არ იგულისხმება).

მიღება-ჩაბარების აქტი - 12 (მიღება-ჩაბარების პერიოდი - 20 დღე, თუ ხარვეზი არ დადგინდა);

გამოცხადების ვადა - 2 თვე.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ასეთ ღირსშესანიშნავ ნაბიჯს და აღნიშნა უმცირეს პერიოდში კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიღწევის თაობაზე, რადგან ამ მოწვევის საკრებულოს წილად ერგოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცით განვითარებისა და განაშენიანების მართვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტაციის დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 14

არ ესწრებოდა: - 1 (თემურ კახიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ და „საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა“ ფარგლებში პროექტების დაფინანსებისა და ანგარიშგების პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი ეხება ანგარიშსწორების და ხელშეკრულების გაფორმების დებულებას.

ასევე აღნიშნა 2019 წელს ჩატარებული „საერთაშორისო ფესტივალები“ და „საერთაშორისო ტურნირების მხარდაჭერა“ კონკურსების შედეგად გამოვლინილი გამარჯვებული პირების, მათი იდენტიფიკაციის მოხდენის, შერჩევის, ბათუმის 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინების შესახებ და ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ გამარჯვებულ პიროვნებებთან (ბენეფიციარებთან) ხელშეკრულების გაფორმება ანგარიშგების წესის შეთანხმების თაობაზე, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

აზრი

გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა - არჩილ მამულაძემ დასვა შეკითხვა, ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის შემდეგ, საკრებულოს მიერ წინამდებარე დებულების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობის შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა ბიუჯეტით დამტკიცებულ პროგრამაში წინამდებარე დებულების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და არა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამტკიცების თაობაზე.

საკრებულოს წევრმა - ბესარიონ გოგოტიშვილმა აღნიშნა ბათუმის უნივერსიტეტში სწავლის განახლების შემდეგ ზემოაღნიშნული ყველა პროგრამის ღონისძიებების პრეზენტაციების გაკეთების შესახებ.

ასევე აღნიშნა საჯარო ლექციების ან ერთგვარი ტრენინგების ჩატარების, მისი მხრიდან პრეზენტაციების წარმოდგენაში დახმარების გაწევისა და სტუდენტების მიერ პროექტების დაწერის ხელშეწყობის / ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი რამაზ მამულაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურიდან ყველა საზედამხედველო ფუნქციისა და სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფიდან სანიტარიული ზედამხედველობის განყოფილების ამოღება, რადგან ახლადდაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“ აერთიანებს ყველა კერძო სამართლის იურიდიული პირის და მთლიანად მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა საზედამხედველო ფუნქციას.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

- საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი რამაზ მამულაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურიდან ყველა საზედამხედველო ფუნქციისა და სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფიდან საპროექტო და სამშენებლო ზედამხედველობის განყოფილების ამოღება, რადგან ახლადდაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“ აერთიანებს ყველა კერძო სამართლის იურიდიული პირის და მთლიანად მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა საზედამხედველო ფუნქციას.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

- საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი რამაზ მამულაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურიდან ყველა საზედამხედველო ფუნქციისა და სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების ამოღება, რადგან ახლადდაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“ აერთიანებს ყველა კერძო სამართლის იურიდიული პირის და მთლიანად მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა საზედამხედველო ფუნქციას.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

- საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 11. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის წესისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის ტრანსპორტირებისა და შენახვის საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 02 ნოემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი რამაზ მამულაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ცვლილების შეტანის მიზანია დადგენილებაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო“ ნაცვლად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“, როგორც ყველა კერძო სამართლის იურიდიული პირის და მთლიანად მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით მინიჭებული ყველა საზედამხედველო ფუნქციის გამაერთიანებელი ორგანიზაციის, მითითება.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

- საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 12. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი რამაზ მამულაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ცვლილების შეტანის მიზანია დადგენილებაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ ნაცვლად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“, როგორც ყველა კერძო სამართლის იურიდიული პირის და მთლიანად მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით მინიჭებული ყველა საზედამხედველო ფუნქციის გამაერთიანებელი ორგანიზაციის მითითება.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

- საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 13. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების თვლებზე სპეციალური საშუალებებით ბლოკირების გაკეთების წესისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების თვლებიდან სპეციალური საშუალებებით ბლოკირების მოხსნის საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 12 მარტის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი რამაზ მამულაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ცვლილების შეტანის მიზანია დადგენილებაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო“ ნაცვლად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“, როგორც ყველა კერძო სამართლის იურიდიული პირის და მთლიანად მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით მინიჭებული ყველა საზედამხედველო ფუნქციის გამაერთიანებელი ორგანიზაციის, მითითება.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

- საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 14. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი რამაზ მამულაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილების თანხმად, „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შექმნის შედეგად (ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.10.2019 წლის N74 განკარგულება) გაერთიანდა ყველა კერძო სამართლის იურიდიული პირის და მთლიანად მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით მინიჭებული ყველა საზედამხედველო ფუნქცია. გამომდინარე აქედან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხიდან ამოღებულ უნდა იქნეს სტრუქტურულ ერთეულებში არსებული ყველა ის სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომლებიც ასრულებენ მუნიციპალიტეტისათვის მინიჭებულ ყველა საზედამხედველო ფუნქციას. კერძოდ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურიდან ამოღებული იქნება „საპროექტო და სამშენებლო ზედამხედველობის განყოფილება“, 11 (თერთმეტი) საშტატო ერთეულით;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურიდან ამოღებული იქნება „ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილება“, 5 (ხუთი) საშტატო ერთეულით;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურიდან ამოღებული იქნება „სანიტარიული ზედამხედველობის განყოფილება“, 3 (სამი) საშტატო ერთეულით.

ასევე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურში არსებული ფუნქციონალური (მაღალი პრიორიტეტულობის) დატვირთვისა და პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტის გათვალისწინებით, ამასთანავე მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ხდება შიდა აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილების მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის საშტატო ერთეულისათვის (ამჟამად ვაკატური), მესამე რანგის - მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის კატეგორიის მინიჭება. რომელიც უზრუნველყოფს რეკომენდაციების მონიტორინგის მიმართულებით შიდა აუდიტის სამსახურის ორგანიზაციულ გამართულობას და ფუნქციონალურ გაძლიერებას.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის სახელშეკრულებო მონიტორინგის, საქალაქო მუნიციპალური სერვისების და ორგანიზაციების კოორდინაციის განყოფილებაში არსებული მოცულობის სამუშაოების შესასრულებლად და ფუნქციონალური დატვირთვის შედეგად არასაკმარისია საშტატო ერთეული. ეს მოქმედებს განყოფილების თანამშრომლებზე გადანაწილებული სამუშაოების შესრულების ხარისხზე, ოპერატიულობაზე, დროულად შესრულებაზე და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილებიდან პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული უნდა გადავიდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის სახელშეკრულებო მონიტორინგის, საქალაქო მუნიციპალური სერვისების და ორგანიზაციების კოორდინაციის განყოფილებაში.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 15

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე